

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის დებულება ძიუდოისტთა სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლასთან დაკავშირებით

საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები გუნდის წევრს, რომელიც მოისურვებს სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლას, მინიმუმ სამი წლის განმავლობაში ეთქვას უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ნაკრები გუნდის წევრად განისაზღვროს სპორტსმენი, რომელსაც ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციის დაფინანსებით. აღნიშნულ წესში ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შეტანილი ცვლილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 21 იანვრიდან. დებულებაში შეტანილი ცვლილების თარიღამდე გათავისუფლება მიეცეთ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომლებსაც მინიმუმ ორი წელია არ უასპარეზიათ ეროვნული ნაკრები გუნდის სახელით. რაც შეეხება 30 წელს გადაცილებულ სპორტსმენებს, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასკომი იტოვებს უფლებას ინდივიდუალურად განიხილოს საკითხი თითოეულ სპორტსმენტან მიმართებაში.